სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

79341992376624

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე ინდივიდუალური მეწარმის) მონაწილეობით პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241665532

რეგისტრაციის თარიღი

18.12.2024 წ

ნოტარიუსი: ირმა გოგია
მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N14.
ტელეფონი: 599 932 798 2 76 37 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასოცდაოთხი წლის თვრამეტ დეკემბერს, მე, ნოტარიუსს ირმა გოგიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა #14 პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **ალექსანდრე ჯავახიშვილი**, რომელმაც განაცხადა რომ არის **შპს „არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი“-ს (206217440)** დირექტორი. მისი უფლებამოსილება შევამოწმე ვებგვერდის მეშვეობით ამობეჭდილი ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24005051, მომზადების თარიღი: 25/01/2024.

მან განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება **თბილისში** და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გასცეს მინდობილობა და მე, **ნოტარიუსმა ირმა გოგიამ**, დავადასტურო იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე მიმნდობის პირადობა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მოქალაქე **ალექსანდრე ჯავახიშვილმა** (დაბ: 01.03.1944 წელს პ/ნ 01005000093, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა: 20IF82162, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ. N 111 კორ. 5 ბ. 3) მომმართა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: მოქალაქე **ირაკლი ფიოლია** (დაბ: 07.03.1977 წელს, პ/ნ # 01012017356, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, რომანოზ ხომლელის ქუჩა, N 29ა, ბინა 8), როგორც მიმნდობის ნდობით აღჭურვილი პირი **(ხელმომწერი)** და მოქალაქე - **მანუკ ვართანიანი** (დაბ: 18.05.1973 წელს, პ/ნ # 01012018554, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ალექსანდრე წულუკიძის III შეს. კორ. 1 ბ. 50), როგორც **მოწმე.**

მე, ნოტარიუსმა ირმა გოგიამ, სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, განვუმარტე სანოტარო მოქმედებაში სანოტარო მოქმედების მონაწილეთა სამართლებრივი პასუხისმგებლობა. სანოტარო მოქმედების მონაწილეებმა (მოწმის ჩათვლით) დამიდასტურეს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობა. ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე, ნოტარიუსმა ირმა გოგიამ, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც **ალექსანდრე ჯავახიშვილის** სურვილით შევადგინე შემდეგი შინაარსის მინდობილობა.

მინდობილობა

ორიათასოცდაოთხი წლის თვრამეტ დეკემბერს, მე, ალექსანდრე ჯავახიშვილმა (დაბ: 01.03.1944 წელს პ/ნ 01005000093, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა: 20IF82162, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ. N 111 კორ. 5 ბ. 3), როგორც **შპს „არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი“-ს (206217440) დირექტორმა, ნინო ოქუაშვილს** (დაბ: 19.08.1976 წელს, პ/ნ # 01029012034, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი 17 შინდისელი გმირის ქ. N 6ა ბ. 21) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. **ნინო ოქუაშვილი** უფლებამოსილია აწარმოოს **შპს „არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი“-ს (206217440)** კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონების/მიწის ნაკვეთების გაერთიანებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული პროცედურები. ჩაატაროს არქიტექტურული-საპროექტო სამუშაოები, მონაწილეობა მიიღოს აზომვითი ნახაზის, პროექტის შედგენისას, მიიღოს არქიტექტურული-გეგმარებითი დავალება, მოამზადოს სამშენებლო პროექტი, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან, შეიტანოს ცვლილებები, აიღოს მშენებლობის ნებართვა, უზრუნველყოს ერთიანი გენერალური გეგმის პროექტის დამუშავება და განხორციელება, გასცეს საჭირო თანხმობები, გადაიხადოს მოსაკრებლები, აწარმოოს მოლაპარაკებები, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმომადგინოს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდულ პირებთან, ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან ურთიერთობაში. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მერიის შესაბამის სამსახურებთან/სააგენტოსთან ურთიერთობაში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, ზედამხედველობისა და არქიტექტურულ სამსახურთან, ეკონომიკის სამინისტროსთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, სანოტარო ბიუროსთან და ყველა სხვა კომპეტენტურ ორგანოსთან ურთიერთობაში. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“, „თელასთან“, „თელმიკოსთან“, „თბილისი ენერჯისთან" არქივებისა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან, ამ მიზნით შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ამისათვის საჭირო ცნობები, მოწმობები და ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტები. ხელი მოაწეროს (მათ შორის ელექტრონულად) საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება.

2.მინდობილობა ძალაშია ორიათასოცდაოთხი წლის თვრამეტი დეკემბრიდან ორიათასოცდაექვსი წლის თვრამეტი დეკემბრის ჩათვლით, მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა ირმა გოგიამ, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მიმნდობს. მიმნდობმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური, ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **ირაკლი ფიოლიას.**

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია **3 (სამი)** ეგზემპლარად, რომელთაგან **1 (ერთი)** ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო **2 (ორი)** გადაეცა მიმნდობის ნდობით აღჭურვილ პირს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ჩემს სანოტარო ბიუროში, თან ერთვის:

- **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ამობეჭდილი ვებ. გვერდის მეშვეობით).**

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **90.00 ლარი,** თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების -"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 32-ე მუხლისა **5** ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (#507, 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-ე მუხლისა, დღგ **16.20 ლარი,** თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, სულ გადახდილია **111.20 ლარი.**

მიმნდობის ნაცვლად, მისივე თხოვნით ხელს აწერს ირაკლი ფიოლია

ხელმოწერა: _____

მოწმე: _____

საქართველო. ნოტარიუსი ირმა გოგია. GEORGIA. 01027003167